№ 276 დეკემბრის 22, შაბათი. 1866—1884 დეკემბრის 22, შაბათი. № 276

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ"

1885 წლისათვის

თბილისში — „დროების" რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როსტომაშვილთან; გორში — ალხლო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

თავადი დავით ევგენის-ძე ქობულოვი შეილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა თვისთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა და უკანასკნელი დედისა თვისისა დარია ალექსანდრეს ასულის ქობულოვისას. პანაშვიდი მოსახსენებლად განსვენებულისა იქნება ყოველ საღამოს შვიდ საათზე. გასვენების დღეზე გამოცხადებულ იქმნება ცალკე. (1—1)

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, დეკემბრის 22-ს.

ოცი ათასი მარკა დაიშურა გერმანიის პარლამენტმა ბისმარკისა და მისის კანცელიარიისათვის და ოცი მილიონის საფასი თანაგრძნობა შეხძინა გერმანიის ხალხისა, თუ კი თანაგრძნობა ფულით დაფასდება. გერმანიის გაზეთებს ეხლა მხოლოდ ეს-ღა აქვთ სალაპარაკო. იგინი უხვად ბეჭდვენ იმ ტელეგრამებსა და წერილებს, რომელნიც ბისმარკს მისდის არა თუ გერმანიის ქალაქებიდამ და სოფლებიდამ, არამედ უცხო-ქვეყნებში დასახლებულ ნემეცებისაგანაც კი, თან ჰკიცხავენ პარლამენტს ესეთის წინა-დაუხედავის ქცევისათვის და ემუქრებიან კიდეც დეპუტატებს საზოგადოების აზრის სახელით, არამცა და არამც არ გაჰბედოთ და მესამე წაკითხვის დროს ხსენებული კანონი არ დაამტკიცოთო.

მართლა რომ არ მოუხდა პარლამენტს ესეთი წინ-დაუხედავი ქცევა. ბისმარკმა თანაგრძნობაც დიდი შეიძინა, შეწირულმა ფულმაც უხვად დაიწყო დენა მის კასაში, თუ კი მათი სარგებლობას მოინდომებს და ეხლა იმაზედ-ღა ჰფიქრობს იგი, რომ მოსვენებით გაატაროს სადმე რამოდენიმე ხანი და იქნება დანარჩენნი თვისნი დღენიც. ტელეგრამა ამბობს, რომ ექიმებმა ურჩიეს ან მგვიპტეში წასვლა, ან თბილისშიო. მაშ შესაძლებელია, თუმცა ძნელად დასაჯერებელიკია, რომ ჩვენს ქალაქში ვნახოთ ეს ყოვლად ძლიერი კაცი, რომელმაც იქნება ესეთი ხერხი იმიტომ იხმარა პარლამენტის წინაშე, რომ უარი მიელო მისგან, მასუკან ხალხისთვის დაენახვებინა თავისი შევიწროებული მდგომარეობა და დიდის თანაგრძნობის გამოცხადების შორის მიეტოვებინა თავისი მეტის-მეტად სამძიმო თანამდებობა.

***

მკითხველმა იქნება გვისაყვედუროს კიდეც, რომ ჩვენს მიმოხილვაში ხშირად გერმანიაზედა ვლაპარაკობთ. ეს გარემოების ბრალია და არა ჩვენი. გერმანია ეხლა საპოლიტიკო ცენტრია მთელის ევროპისა და რა გასაკვირველია, რომ იგი მიიქცევდეს უმთავრესს ყურადღებას: იქ იბრძვიან თავისუფალი აზროვნების მომხრენი ავტოკრატებთან და ქვეშევრდომნიერნიც ცდილობენ თავიანთი უფლება ამ ავტოკრატებს არ დააჩაგვრინონ...

***

წარსულს კვირას ერთმა პოლშელმა დეპუტატმა გერმანიის პარლამენტისამ აღძრა ლაპარაკი იმაზედ, რომ პოლშელებით დასახლებულ პროვინციების სასამართლოში პოლშური ენა იხმარებოდესო. ეს წინადადება მეტის-მეტი «თავხედური» წინადადებაა ავტოკრატების აზრით და იმის წარმომთქმელს არც კი უნდა გაებედნა ამაზედ ხმის ამოღება, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი განცვიფრება, რომ ამისთანა წინადადება არამც თუ წარმოითქვა, ერთბაშადვე უარ-ყოფილ არ იქმნა და კომისიას გადაეცა განსახილველად; ჯერ არ ვიცით, რა დღე დაადგება ამ პროექტს, მაგრამ ეს კია, რომ პარლამენტი მართლა ჯიუტობას არ ანებებს თავს და ამისთანა «წინაამდეგს» პროექტებს არამც თუ ნაკუწ-ნაკუწად არ აქცევს და უბრალო ქაღალდების კალათაში არა ჰყრის, კომისიასაც კი უნიშნავს და ისე ექცევა თითქო მართლა საყურადღებო პროექტი იყოსო.

***

## «დროების» ფელეტონი, დეკემ. 22-ს

### ეთნოგრაფიული წერილები

აფხაზეთი

(წერილი მესამე *).

დერეფნის გვერდებ-გასწვრივ დაწყობილნი არიან ფიცრები ტახტებად, რომელნიც მსახურებენ როგორც სტუმართ, ისე მასპინძელთ. თვითონ სახლი, აშენებული წნელის ღობით და ჩალით, ანუ გვიმრით დახურული, შესდგება ერთის ანუ ორის განყოფილებისაგან, სახლის პატრონის შეძლებისამებრ. პირველს განყოფილებაში კედლის გვერდებზედვე მომართულნი არიან ფიცრული ტახტები ზამთარში სტუმართათვის და აგრეთვე სახლის უფროსისა და მისის მეუღლისათვის. თქვენ გაგაკვირვებთ ერთს კუთხეში ტახტზედ სიმრავლე ქვეშაგებისა; ლეიბები და ბალიშები უმეტესად გადაკრულნი არიან სამოგვით, რომელსაც აკეთებენ თვით სახლის უფროსი ქალი თავისის ქალიშვილების დახმარებით. ზაფხულში ეს ქვეშაგები ფრიად სასიამოვნოა; ზამთარში სტუმართათვის გარდააფენენ თეთრს ზეწრებს. სხვა საგებელიც მეტად სუფთა აქვთ და ვერ იპოვით იმისთანა ღარიბ კაცს აფხაზეთში, რომელიც არა ზრუნავდეს ქვეშსაგების სიწმინდისათვის. იატაკი მიწისაა, მაგრამ ყოველთვის წმინდად შენახული. დღეში რამდენჯერმე წყლითა რწყვენ. იატაკის შუა ცოტა ჩაღრმავებული ადგილია, სადაც ზამთარში ცეცხლს ანთებენ და ჰსთბებიან სტუმარ-მასპიძელნი. ამ ჩაღრმავებულის ადგილის ზევით ჩამოკიდებულია ქვაბები სიმინდის, ღომის და ხორცის მოსახარშად. ჩამოსაკიდად ხმარობენ გრძელს მარგილის მსგავსს ჯოხს, რომლის თავი გასაყარ კოჭზედ არის მიკრული, ხოლო ბოლო მოკაუჭებულია ქვაბების ჩამოსაკიდად. ამ ჯოხს მთელს სიგრძეზედ ღრმა დაჭდეულები აქვს რომ ხარშვის დროს ქვაბები მაღლა ასწიონ ან ძირს დაუშვან. ჭერი არა აქვს სახლსა. მოჩანან მხოლოდ ლართხები, ან გრძელი გასაყრები, რომელზედაც ლართხები მიუკრავთ. გასაკვირველი არ არის, რომ ამისთანა სახლში კვამლი დადგეს, თუმცა წნელში ურიცხვი ვინტილიატორებია.

მეორე განყოფილებაში ნახავთ იმ გვარსავე ფიცრის ტახტებს, იმ გვარსავე ლოგინებს მასპინძლის შეილებისათვის. ამ გვარნი სახლნი მოწყობილნი არიან უფრო საზაფხულო სადგომებად; ზამთარში გარეშემო გვიმრას აკვრენ სიცივის დასაჭერად.

არც ცხელი ზაფხული და არც სასტიკი ზამთარი არავითარ ვნებას არ აძლევს პაწაწა ბავშვებს, რომელნიცა თითქმის შიშველნი მალხაზად დახტიან. იშვიათად, თუ იცის ვინმე მათგანმა, რას ჰქვიან გაცივება?

როდესაც აფხაზს სტუმარი მიუვა, ვიდრე დალაგდებოდენ, იწყებენ სხვა-და-სხვა ცერემონიებს. არც სტუმრები და არც მასპინძლები არ დასხდებიან ერთი მეორის უმალ, დიდ ხანს ეთავაზებიან და ეპატაჟებიან ერთი მეორეს დაჯდომას, და ბოლოს რომელიმე მოხუცებული გაბედავს მაგალითის ჩვენებასა.

თვითოეული ნაბიჯი, თვითოეული მოძრაობა აფხაზებისა აუცილებელად გამოიწვევს მრავალ-ჯერ თხოვნასა, თავის დაკვრასა, ხელის აწევასა და დაშვებასა. დედა-კაცები იმ დრომდის არ გამოვლენ, ვიდრე არ გასინჯვენ სტუმრებს ფაცხის ჯუჯუტანებიდგან.

სტუმარნი არ მოსთხოვენ მასპინძელს მდიდრულს სანოვაგეს; საკმაოდ მიაჩნიათ მაწონი, ყველი, სიმინდის ღომი და იშვიათად ღვინო, ან ხანდისხან ხორცი. მაგრამ როდესაც უცხო ქვეყნიდგან ეწვევიან ჩერქეზები, მეგრელები, ანუ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, მაშინ მასპინძელი ხმარობს მთელს თავის ღონის ძიებას, რომ არ შერცხვეს, მიწასთან არ გასწორდეს და კარგად დახვდეს. თუ აკლია, მაშინ მეზობელნი მოუტანენ სხვა-და სხვა სასმელ-საჭმელს. ამ გვარი დავალება არავის არ დაამძიმებს, რადგან თვითოეულს იმათგანს აქვს სახეში სამაგიერო შემწეობის მიღება, როდესაც მასაც სტუმრები ეწვევიან. ვინიცობაა მოხდა აფხაზს სტუმრები ღამით ეწვიენენ და მასპინძელს არა შეხვდარა და ვერც სამეზობლოდ საიდანმე ხელი გაიმართა, მაშინ ან თვით მასპინძელი, ანუ მისი შვილი, მსწრაფლ-მსრბოლის კურიერის მსგავსად გაექანება მახლობელს სოფელში და სწრაფად მოიტანს ყოველსავე საჭირო სანოვაგეს. ვინიცობაა იქაც ვერა იშოვნარა, რაც ძლიერ იშვიათად მოხდება, მაშინ-კი მარჯვე ქურდობასაც არ დაერიდება.

სტუმარს აფხაზნი წინ დაუდგამენ გრძელს ფიცრის სუფრას; პირველად შეუდგებათ ერთი დიდი ცერემონია, რომელი და სად უნდა პირველად დაჯდეს; შემდგომ მოართმევენ წყალს ხელის დასაბანად. ერთს უჭირავს ტაშტი, მეორეს დოქი, ხოლო მესამეს ხელსახოცი. ხელსახოცის მიტანა ყოველთვის შეხვდება ერთს რომელსამე უმშვენიერესს მასპინძლის ქალთაგანს, რომელიცა ყველას მდაბლად თავს დაუკრავს და წავა თავის სად-

*) იხილე „დროება" № 275.

დიდი ხანია ნათქვამია, რომ პირადი მეგობრობა ორის სახემწიფოს მოთავის ანუ წარმომადგენელთა შორის არ მოასწავებს სახემწიფოთა მეგობრობასაცა. სკერნევიცაში შეყრის შემდეგ მთელი ქვეყანა მხოლოდ იმას ლაპარაკობდა, რომ რუსეთისა და გერმანიის შორის სრული კავშირი დამკვიდრდაო, მაგრამ ჩუმჩუმად ისეთ რასმეს უმზადებდა უკანასკნელი პირველს, რომ ყოველს ცბიერს პოლიტიკაზედ უარესი იყო. ჩვენ ვამბობთ პურზედ ბაჟის დადების შესახებ.

რუსეთი განსაკუთრებით მიწათმოქმედია და უმთავრესი სავაჭრო, რომელსაც იგი სამზღვარ გარეთ ეზიდება, არის პური. პური გააქვს მას ყველგან: გერმანიაში, ავსტრიაში, ინგლისში და თითქმის ყველა სხვა ევროპის სახელმწიფოებში. ამის სამაგიეროდ შემოაქვს შინ ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმოები. გერმანიის მთავრობამ მოიწადინა და საფრანგეთიც აპირობს მიბაძვას, რომ სამზღვარგარეთულს პურს ბაჟი მოემატოს. რა მოჰყვება ამ გარდაწყვეტილებას. გერმანიაში პურის ფასი აიწევს და რაკი ფასი მეტი ექნება, წარმოებაც უფრო გაძლიერდება, ასე რომ გერმანია ძალაზე შეამცირებს თავის მოთხოვნილებას რუსეთის პურისას. რაც შეეხება სხვა შორეულ სახემწიფოებს, იქ, როგორც გერმანიაშიაც, რუსეთის პურს სჯობნის ამერიკული და ინდოეთიდამ მოტანილი პური. ამ გვარად ბევრად მეტი ნაწილი რუსულის პურისა გაუყიდავი დარჩება, პურის ვაჭარნიც დაშინდებიან და თავიანთ ფულს ამისთანა უმადურ საქონელში აღარ დაჰბანდევენ. მწარმოებელი უფულოდ დარჩება და პურით კი ბეღლები ექნება სავსე. საზოგადო წარმოება დაეცემა და მეტადრე უფრო წარმოება მიწათმოქმედისა.

ეს არის შედეგი ბისმარკის ერთგულებისა! ნუ გაგვიკვირდებათ, რომ საფრანგეთში პურზედ ბაჟის მიმატებაც მისი საქმე იყოს და ეს მიზეზი აახლოვებდეს ამ ორს სახემწიფოს, რომელნიც თოთხმეტის წლის განმავლობაში ერთმანეთის სისხლსა სვამდენ, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ერთმანეთს მიესაყვარლენ და, როგორც სწერენ, ბისმარკს პარიჟისკენ გასეირნებაც კი მოუწადინია საფრანგეთის პირველის მინისტრის ფერის სანახავად.

## შინაური ქრონიკა

— მთელი ორი წლის განმავლობაში თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები ძალიან დაბალ ფასად გადიოდენ; მყიდველები ათ თუმნიან ბილეთში 80 მანათის მეტს ძვირად იძლეოდენ და ხან-დისხან ნაკლებსაც. მსესხებელნი ამ გვარად 20%-მდე ჰკარგავდენ აღებულს სესხზე. მაგრამ ამ ორ-სამ კვირაში ხსენებული ფურცლების ფასმა საკმაოდ მაღლა აიწია; პეტერბურგის ბირჟაზე რაკი ერთბაშად გაჰყიდა ყველა ფურცლები (თითქმის 400,000 მანათისა) ამ ბანკის აგენტმა, მოთხოვნილება გაძლიერდა და გუშინდელის და გუშინ-წინდელის გაზეთების ცნობებიდამა სჩანს, რომ ამ ჟამად ეს ბილეთები 84 მანათად იყიდებიან და უკანასკნელად მათი ფასი $84^{1}/_{2}$-მდე აწეულია.

პეტერბურგს, რასაკვირველია, თბილისმაც მიჰბაძა და ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩვენს ქალაქში თქვენ შეხვდებოდით ბევრს იმისთანას რომელიც გაცხარებული დაეძებდა ამ ბანკის გირავნობის ფურცლებს და 83 და $83^{1}/_{2}$-ადაც ვერა შოულობდა. ესეთი უეცარი აწევა გირავნობის ფურცლების ფასისა, რასაკვირველია, ბევრს შეჰმატებს ახალს მსესხებლებს ბანკისას, რადგან აქამდის თუ ათ თუმნიან ბილეთზე ორ თუმანსა და კიდევ მეტს ჰკარგავდენ, ეხლა 15—16 მანათს მეტს აღარ დაჰკარგვენ.

— თბილისის სახემწიფო ქონებათა გამგეობასაც განუზრახავს დაწვრილებით გაცნობა ჩვენის სოფლის ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, და ამ განზრახვით მალე აპირობს გაგზავნას სოფლად იმისთანა პირთა, რომელთაც ადვილად შეეძლებათ ყოველ გვარი საჭირო სტატისტიკური ცნობების შეკრება. ეს პირნი ერთს წელიწადს მოანდომებენ ამ გვარად სოფლის ყოფა-ცხოვრების გაცნობას, შემდეგში ერთად თავ-მოყრილნი შეიმუშავებენ მოგროვილ მასალას და უეჭველია ეს მასალა შეიქმნება საფუძვლად ჩვენის ქვეყნის ყოველ-მხრიულ აღწერისათვის.

— ბარონ სუტნერი, რომლის წერილიც «ვეფხვის-ტყაოსნის» შესახებ ჩვენს მკითხველებს ამ დღეებში გავაცანით, აპირობს თურმე ამ პოემის გადათარგმნას ნემეცურს ენაზედ. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ ნემეცები, უეჭველია, დიდის თანაგრძნობით მიიღებენ ამ მათთვის უცხო პოემას, რომელსაც სამართლიანად შეგვიძლიან საუცხოო ვუწოდოთ, როგორც სამაგალითო ნაწარმოებს ჩვენის ლიტერატურისას.

— ხევიდამა გვწერენ, რომ სოფლის ამორჩევების დროს ბევრი უწესოება ჰხდება თურმე. მაგ. შეიყრება რამდენიმე კაცი და თავიანთ მონათესავეთა შორის ირჩევენ, როგორც მამასახლისსა და მოსამართლეს, ისე სხვა თანამდებობის პირთა. ერთს სოფელში თურმე 180 მოსახლეა და ამ ასოთხმოცში ამას წინად შეყრილან მხოლოდ ცამეტი კაცი და ცამეტს კაცს ამოურჩევია მთელი გამგეობა სოფლისა. უეჭველია, რომ ამ გვარ ამორჩევების დროს ბური და მოედანი სხვა-და-სხვა გაიძვერეებს დარჩებათ და არა იმისთანებს, რომელნიც ღირსნი არიან სოფლის საზოგადოების ნდობისა.

— ამ დღეებში «ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» მოსვლია ქ. გორიდამ ორი ძველი წიგნი: ერთი დაბეჭდილი და მეორე ხელ-ნაწერი. პირველი წიგნი შეეხება ყვავილის აცრას და დაბეჭდილია პეტერბურგს «ვილაც ელიოზოვისაგან კორექტურის გასწორებითა», ხოლო მეორე დაწერილია სქელ ქაღალდზე, 400-მდე გვერდს შეიცავს და წარმოადგენს მოთხრობას

---

გომში. აქ სხვა განზრახვაა, სახელდობ ის — რომ სტუმართა ნახონ მასპინძლის ქალიშვილი და შეიტყონ მისი სიმშვენიერე და სიტურფე. შემდგომ ყველა საჭმელებს სუფრაზედ ერთად დააწყობენ და შეუდგებიან სადილს ანუ ვახშამს. მასპინძელი და მისნი მონათესავენი ერთობით თავზედ ადგანან და გულს-მოდგინედ ისმენენ სტუმართ საუბარს და ვერცა რა-ვინ გაბედავს სიტყვის ჩამორთმევას, რაც უნდა სიცრუეს ლაპარაკობდეს. ამას ზდილობა მოითხოვს და სტუმართა პატივის ცემა. შემდგომ რამოდენიმე ხნისა გამოვა მასპინძელი ქალი და თავ-მდაბლად თავის დაკვრით მოიკითხავს სტუმრებს: სტუმარნიც ფეხზედ ადგებიან და ნაცვალს მოკითხვას მოახსენებენ. სალმრთო ვალია თვითოეულის აფხაზისა ყოველის ახალ პირის ნახვის დროს და განსაკუთრებით დედა-კაცისა, წამოდგეს და მშვიდობისა და სიმრთელის ამბავი ჰკითხოს. როდესაც მასპინძელი ქალი გამოვა, მაშინ მასპინძელი კაციც დაჯდება საზოგადო სუფრაზედ.

შემდგომ სადილის გათავებისა, ხელახლად მოართმევენ წყალსა ხელის დასაბანად და პირის გამოსარეცხად; მერმე მასპინძლის ცოლი ალერსიანად ჰსთხოვს სტუმრებს მცირედ მოსვენებასა. მაგრამ მოძრავი ბუნება აფხაზისა ვერ ითმენს ხანგრძლივს მოსვენებას. იგი მადლობას შესწირავს მასპინძელს და მსწრაფლ წავა თავის გზაზედ, ანუ რაიმე საქმეს შეუდგება. როდესაც სტუმარი წასვლას დააპირებს და ცხენზედ შეჯდომას შეუდგება, მისცვივიან მასპინძელი და მონათესავენი მისნი, დაუჭერენ აბჟანდას რომ უფრო ადვილად შეჯდეს ცხენზედ. აქ კიდევ დაიწყება თავაზა და უარის თქმა; მასპინძელი თითქმის ძალით ჰსცდილობს აბჟანდის დაჭერას; სტუმარნიც თითქო უარობენ ამ სამსახურს, მაგრამ შეჯდომის დროს არა ჰსჩქარობენ და მალვით იხედებიან, მოდიან თუ არა აბჟანდის დასაჭერადაო. წასვლის დროს თვითოეული სტუმარი ცდილობს აჩვენოს თავისი სიმარჯვე ცხენზედ ჯდომაში: პირველად იგი გააჭენებს ცხენს, მერე უცბად შეაყენებს და ისე უცბადვე შეახტუნებს მაღლა, რომ გლახა ცხენოსანი ვერც-კი შემაგრდება. ამისთანა ვარჯიშობის დროს იგი ცდილობს მათრახი მარჯვედ შემოჰკრას გვერდებზედ ცხენს და აჩვენოს თავისი გამოცდილება ძლიერის ხმოვანების გამოცემით. თუ სტუმარმა ეს ყველაფერი კარგად მოახერხა, მაშინ ერთიასად დაფასდება იგი მასპინძლის თვალში, და მასპინძლის ქალსაც მოეწონება მისი ვაჟ-კაცობა და სიმარჯვე.

თუ სტუმრები ღამით დარჩნენ, მაშინ ვახშმის შემდგომ, მასპინძლის ქალი მოართმევს წყალსა და ტაშტსა და დაბანს ყველას ფეხთა. გარდა ამისა, აჰყრის სტუმრებს ხმლებსა და სატევრებს, გაჰხდის ჩოხას, ახალუხს, შარვალს, წუღებს და დაუწყობს გვერდზედ. მოჰხდება ხან-დის-ხან, რომ ფეხთ დაბანის დროს, რომელსამე ყმაწვილ სტუმართაგანს მოეწონოს მშვენიერება და სიმარჯვე მასპინძლის ქალიშვილისა. მაშინ გამოუცხადებს იგი გულითადს თავის სურვილსა, მაგრამ ამ გვარს შემთხვევაში არასოდეს არ მისცემს თავის თავს ნებას წარმოსთქვას რაიმე უკადრისი სიტყვა ქალის წინაშე.

გლეხ-კაცთა წოდებაში აფხაზნი ადრე იძინებენ და ადრევე ადგებიან ხოლმე; შემდგომ მსწრაფლად ისაუზმებენ, რასაც ღმერთი მისცემს და მიდიან თავიანთ საქმეზედ. სალამომდის ხშირად საჭმელს არ მიიღებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გრძელი გზა წინ უძევთ, ან სასამართლოში უნდა გამოცხადდენ. აფხაზს უფრო ის სწადიან, ახალი ამბები შეიტყოს სალამოზე საამბობლად და თავის კუჭის დაკმაყოფილებისათვის არა ზრუნავს. ხუთის წლის შემდეგ ყმაწვილნი აძოვებენ პირუტყვთა, რვა წლიდგან სწავლობენ იარაღის ხმარებასა და ცხენზედ ჯდომასა, ხოლო ათის წლიდგან გამოდიან საზოგადოების მოქმედების ასპარეზზე.

გლახაკი და მთხოვარი არ იპოება აფხაზეთში. თუ გლეხს აფხაზს ბევრი ვაჟი-შვილები ჰყავს, მაშინ ერთი მათგანი რჩება სახლში, მეორე განუშორებლად დასდევს და მწყსის ცხვარსა, ზაფხულში მთაში წაასხავს, და ზამთარში ჰკრეჭს, არჩევს კრავებს და თიკნებსა და ეზიდება რძესა და ყველსა. ხოლო მესამე, თუ იგი სიმარჯვით განსხვავდება, შეუდგება იმ პირს, რომელიცა სოფელში თვისის ვაჟკაცობით, ტაციობით და სხვა ამ გვარი თვისებით გათქმულია. ამისთანა ვაჟკაცთან იკრიბებიან ყმაწვილნი კაცნი და რამდენსამე წელიწადში ასრულებენ თავიანთ სწავლას, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით წინააღმდეგ სხვის საკუთრებისა.

როდესაც დედას წამოეზდება ვაჟიშვილი, მისცემს ხოლმე მას იარაღს და აკურთხებს შემდეგი სიტყვით: „უფალმა სიმრთელე მოგცეს და წარმატება ყოველს გვარს ქურდობაში, ეცადე დაიმსახურო პატივისცემა შენი სოფლის მცხოვრებთაგან და ნუ დამიეიწყებ ნურც მე და ნურცა მონათესავეთა შენთა, როდესაც ბედნიერად და წარმატებით წაიღებ შენი საქმე ღამით მსვლელობის დროს“.

კოწია მაჭავარიანი.

(შემდეგი იქნება)

ჩინეთის მეფის შვილზე ჯიმშედზე და აგრეთვე მეფე ხოსროზე. ხელ-ნაწერს არც თავი აქვს, არც ბოლო.

═ თ-დი დავით ერისთავი გვთხოვს შემდეგის სიტყვების დაბეჭდვას: „იმედი მაქვს ნებას მომცემთ, თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო იმ საზოგადოებას, რომელიც ხუთშაბათს „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ დაესწრო, რომ ამ ყოვლად სამასხარაო სპექტაკლში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც ნება მიმიცია ამ პიესის დადგმისა. სამასხარაოს ვეძახი ამ წარმოდგენას, რომ მეტი არა ესთქვარა, რადგანაც იგი იყო დამსწრე საზოგადოების მასხარად აგდება. ამაზედ, ვგონებ, ყოველი მნახველი იმ წარმოდგენისა დამეთანხმოს“.

ვბეჭდავთ ამ წერილს და თან ჩვენის მხრითაც დავსძენთ: როგორ ნათლად დაეტყო პირველსავე ნაბიჯზე ჩვენს ისედაც პატარა ძალის მქონე დასს, რომ მისი განაწილება ყოვლად მოუხერხებელი, მოუთავსებელია. ეს თვალ-სახინოდ დაგვიმტკიცა ოთხშაბათისა და გუშინწინდელმა წარმოდგენამაც. სიცილთან სიბრაზეც გერევა კაცს, რომ გაიგონებ ამ გვარს განაწილებას, განცალკევებას. რა დააშავა ჩვენის საზოგადოების პატარა წრემ, რომ მას ორად უპირებენ კიდევ განაწილებას და ორთავეს უსპობენ ესტეტიურის გრძნობის დაკმაყოფილებას? რა ბრალი აქვს ამ პატარა წრეს, რომ დასში განხეთქილების გამო, მოკლებული შეიქმნეს—სიამოვნებით გაატაროს საღამოები და ბევრ გვარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს? ერთხელ კიდევ მივმართავთ ამ კითხვებით იმ პირთ, რომელთაც საზოგადოებამ ხელში მისცა ქართული თეატრის საქმის მართვა.

═ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შეამდგომლობს სახელმწიფო რჩევის წინაშე, რომ მან წინანდელზე მეტი ფული გადასდოს მომავალ წელს ტყეთა მოწყობის საქმისათვის. სამინისტროს განუზრახავს მომავალში უფრო ვრცლად აწარმოვოს ეს საქმე და ამის მიზეზად სთვლის პირველად იმ გარემოებას, რომ მის უწყებაში ირიცხება დიდ-მალი სახელმწიფო ტყეები კავკასიისა, დასავლეთის ციმბირისა, ტურგაის ოლქისა და პრივისლიანის გუბერნიებისა; მეორედ ისა, რომ უკვე მოწყობილ ტყეების დათვალიერება მიენდობათ იმის შესამოწმებლად, კანონიერად სწარმოობდა თუ არა ტყეების მოხმარების საქმე წინა ათის წლის განმავალობაში და როგორ უნდა იქმნეს მოწყობილი ეს საქმე შემდეგის ათის წლის განმავლობაში და მესამედ ისა, რომ აუცილებლად საჭიროა მოეწყოს იმ ტყეთა-მოხმარება, რომელნიც ჯერაც სრულს უწესო მდგომარეობაში არიან. (,,რუსკი კურ.‘‘)

═ იმავე რუსულ გაზეთს შეუტყვია შემდეგი საყურადღებო გარემოება: ამას წინად სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შეეხო სადავო მიწების გამიჯვნის საქმეებს კავკასიაში. დღეს ეს საგანი გადაწყვეტილია და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მისცემია უფლება იმ დავათ გარჩევისა, რომელნიც ჩამოვარდება გამიჯვნის დროს გლეხთა საზოგადოებათა შორის. ეს წესი გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდება სახელმწიფო გლეხთა სამიწაწყლო მოწყობილობის საქმე. როცა სახელმწიფო გლეხთა საქმე სამუდამოდ მოწყობილ იქმნება იქ, ამ გვარი საქმეები გადაეცემა გასარჩევად სამოსამართლო დაწესებულებათა.

═ ,,კავკაზში‘‘ დაბეჭდილია შენიშვნა ერთის კახეთის მემამულისა (ვაზის ნაცარი) ავადმყოფობის შესახებ (oidium) საჭიროდ ვსთვლით შევატყობინოთ ჩვენ მკითხველებს ამ შენიშვნის შინაარსი: ივლისამდე, მოგვითხრობს მემამულე, ჩემს ვენახში ნაცარი არა ყოფილა; ივლისის 2-ს კი ხეივნის 16 ვაზზე შევნიშნე და მოვაყარე გოგირდი. ამ წამალმა გასჭრა და ხუთის დღის შემდეგ ყურძენი სწრაფად ჰკარგავდა ნაცრის ფერს. ივლისის 10 სხვაგან წავედი და, 21 რომ დავბრუნდი, შევედი ვენახში და გავცვივდი: თითქმის ოთხი დღიურის სივრცეზე ვაზისთვის ნაცარი საშინლად შეეყარა და ყურძენი თითქმის სულ ერთიანად გაშავებულიყო. მაშინვე მოვიწვიე ახლო-მახლოდამ გლეხნი და თავად-აზნაურნი და იმათ თანადასწრებით მოვაყარე ყველა ავადმყოფს ვაზებს გოგირდი. ძალიან ცხელოდა და ბევრი ამბობდა, რომ ამ სიცხეში ყურძენი უფრო დაიწვის გოგირდისაგანაო; მაგრამ არაფერი ამ გვარი არ მოხდა. ათი დღის უკან ისევ მოვიწვიე, ვინც წინად იყვნენ, ვანახვე გოგირდ-შეყრილი ვაზები და დარწმუნდენ, რომ ყურძენი სრულიად გაკეთებულიყო. საზოგადოდ ამ ცდამ ვარგად ჩაიარა და მეორედ აღარ დასჭირდა გოგირდის შეყრა. ზოგიერთებმა სთქვეს, დარწმუნებულნი რომ ვიყვნეთ, რომ ეგ ღონის-ძიება დაიფარავს ვენახებს ნაცრისაგან და სამერმისოდ აღარ შეაყრის, დავგირავდებოდით და ვიშოვიდით გოგირდსაო, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა და იმიტომ ვერიდებით ხარჯსაო. ზოგნი ამბობდნენ, რომ ჩვენ სრულიად დავრწმუნდით, რა კარგი ღონის-ძიებაცა ყოფილა გოგირდი ნაცრის წინააღმდეგ, მაგრამ საშუალება არა გვაქვს, რომ შევიძინოთ და ვიხმაროთო.

ეს „არაო“ ცარიელი სიტყვა არ არის. სადა აქვს მართლაც გლეხ-კაცს 5-6 მან. გოგირდისათვის? მთელი კახეთი კი გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ნაცრისაგან. მეტადრე წელს იზარალა ამ მხრივ კახეთმა. ვისაც ერთისა და ორის დღის ვენახი ჰქონდა, 10 ბოთლი ღვინოც არ მოსვლია; აზნაური ა. 14 დღის ვენახიდგან მხოლოდ 130 თუნგი ღვინო მოუვიდათ. ვენახების მოცდენას მეტად სამწუხარო გავლენა აქვს ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზე, მეტადრე ხარჯის მძლეველთათვის. გლეხნი ვეღარ იხდიან სახელმწიფო ხარჯს და თან-და-თან უფრო-და-უფრო ღარიბდებიან. მე მგონია, შეიძლებოდა როგორმე მივშველებოდით ხალხს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შეეძლო ადგილობრივის ადმინისტრაციის შემწეობით დაერიგებინა გოგირდი ვალად და მერე გამოერთმია ისევ იმავ ადმინისტრაციის შემწეობითვე. თითო სოფელს პირველ-ხნობაზე 8-10 ფუთი ეყოფოდა. ეჭვი არ არის, ამბობს დასასრულ მემამულე, რომ გლეხნი, როცა დაინახავენ, როგორა სპობს ნაცარს გოგირდი, თითონაც დაიწყებდენ მის ყიდვასა და ხმარებას. საჭიროა მხოლოდ, რომ მაგალითი დაინახონ...

## წერილი რედაქტორთან

ორიოდე სიტყვა გომის სტანციის უფროსზედ და მის ტელეგრაფისტზედ.

ჩვენ წავიკითხეთ ხუთის ვაჭრის გომელების წერილი ამ დღეებში დაბეჭდილი გაზეთ ,,დროებაში‘‘ ადგილობრივ სტანციის უფროსის და ტელეგრაფისტის უწესო ქცევაზედ.

ამ წერილმა ზემოდ მოხსენებულს პირებზედა ძალიან იმოქმედა და შეაფუცხუნა კიდეც: გასაქარწყლებლად ,,დროებაში‘‘ დაბეჭდილის წერილისა, შეუდგნენ თავიანთ ოსტატობით გამოგონილს ხრიკებსა.

პირველად ყველა ამ სტანციის მოსამსახურე პირებმა დაამყარეს დაახლოვებული კავშირი ერთი ერთმანეთთან. სტანციის უფროსმა და ტელეგრაფისტმა მიიმხრეს თავიანთკენ ჟანდარმიც, რომ გაჭირვების დღეს უმოწმონ ერთი ერთმანეთს და ამითი თავიანთი ბოროტ-მოქმედება დაჰფარონ; აი, ამათი გამოგონილი ოსტატობა: გომელი ვაჭრები, როგორც დაშორებულნი მდინარე წყალზედ, მუდამ სარგებლობდენ სტანციის მოშორებით ამოყვანილის ,,ჭითა‘‘. ,,დროებაში‘‘ დაბეჭდის შემდეგ გომელი ვაჭრების საჩივრისა, მაშინათვე აუკრძალეს ჭის წყლით სარგებლობა; დაადგა ყარაულად ,,ტელეგრაფისტი‘‘ ჭას და ყველა ვაჭართაგანს, რომელიც წყლისთვის მიდის, უცხადებს, თუ თქვენს გაგზავნილს წერილზედ, რომელიც დააბეჭდინეთ «დროებაში», უარს ჰყოფთ და ხელ-წერილს მოგვცემთ, მაშინ ნება გექნებათ ჭის წყლით სარგებლობისაო; თუ არა და—არაო? თუ აქამდის ღორებს გიხოცამდით, ეხლა ხარებსაც დაგიხოცამთ და ერთს ცვარს წყალსაც ველარ წაიღებთო? ყველა-ყველა მაგრამ, ამ ტელეგრაფისტს რა საქმე აქვს,—ნეტავი ვიცოდეთ და ვინ მიანიჭა ამას ეს უფლება, რომ ასე თამამად იქცევა და ამის უწესო ქცევაზედ პასუხის მომკითხავი არავინა სჩნდება? ვისაც არა მგონია, უპატიურის ლექსით იხსენიებს; განსაკუთრებით ამ მედუქნეებსა: გარდა ამისა ეს ბატონი, ტელეგრაფისტი, ამ დეკემბრის 19 საღამოთი დახვდა ერთს გამგზავნთაგანს, ,,გომიდამ‘‘ საქონელისა და უწყო აურზაური, რომ შენ შეადგინე ვაჭრების მხრით წერილი ,,რედაქტორთანაო‘‘. ამ უკანასკნელმა მიმართა ჟანდარმს ოქმის შესადგენად, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ეწია თავის სურვილს, რადგან ერთად აქვთ იმათ კავშირი და არა თუ ეს ბ. ჟანდარმი წესიერებას იცავს აქა, არამედ უფრო აღელვებს და ხელს უწყობს, ამ თვისთან შეკავშირებულ პირთა. ოქმის შედგენის მაგივრად, პასუხად ეს უთხრა: ახია შენ ხედა, რად სწერ გაზეთებშიო? აი, ამისთანა უსამართლოება სუფევს ზოგიერთა რკინის გზის სტანციებში და განსაკუთრებით გომში. რასაკვირველია, რომ ყოველივე ბოროტ-მოქმედება ადვილად დაიფარება ამ გვარ მოსამსახურე პირების ხელში, რადგანაც ეს სტანცია დავიწყებულ „სტანციად“ მიაჩნიათ ამათ უფროსებსა, და არ აქცევენ თავიანთ განსაკუთრებულს ყურადღებასა.

ერთი ამ უწესო მოქმედების დროს დამსწრე პირი

## სხვა-და სხვა ამბავი.

ლონდონში ყოველს წელიწადს, შობის დღესასწაულის წინა დღეებში მოხდება ხოლმე საუცხოვო სეირი, რომელსაც ,,ქურდების ვახშამს‘‘ ეძახიან. ამ სეირში მონაწილეობას იღებენ ყველა ქურდები. ყოველს სეირს უსათუოდ თავ-სამჯდომარე უნდა ჰყავდეს. ლონდონში ამ ქურდების ვახშამზე პრეზიდენტად იყო დიდი სამსაჯულოს წევრი სერფორდ-ნორტსი და საპატიო სტუმრებად—ლორდ-მერი, მომრიგებელი მოსამართლენი, პოლიციის მოხელენი და სატუსაღოების დირექტორები, აკლდა მხოლოდ ერთი ჯალათი. იდღესასწაულეს ჩინებულად. ლორდ-მერმა და პრეზიდენტმა წარმოსთქვეს ქებითი შესხმა ლონდონის ქურდებისადმი, ქურდების მაგივრად ერთმა მოხუცებულმა ქურდმა აღელვებულად მადლობა გადაუხადა, რომ ამისთანა პატივი სცეს ქურდებს. ვახშამი გათავდა სიმღერით.

ნიკოლოზ ხელმწიფის დროს, ერთობ იყო გახშირებული ხაზინის ცარცვა ინჟინერებისაგან. განსაკუთრებით დიდს ფულს იჯიბებდენ ხოლმე ისინი, როცა სახაზინო შენობებს აგებდენ. ერთხელ იმპერატორმა ნიკოლოზმა როდესაც ათვალიერებდა ბრესტის ციხეს სამზღვარ გარეთელი სტუმრების თანა-დასწრებით, რომელნიც ხშირად აქებდენ ხოლმე შენობებს, აიღო ერთი აგური და ჰკითხა მის ახლო მდგომს პირს: —იცით ეს აგურისგან არის შემდგარი? — თქვენო დიდებულებავ, მგონია, თიხისა უნდა იყოს. —სრულიადაც არა, ეს არის ოქროსი, უთხრა ხელმწიფემ, ყოველ ამ აგურში მისი წონა ოქრო მიმიცია.

აღმოსავლეთის ომის დროს იმპერატორმა ნიკოლოზმა უთხრა მემკვიდრეს: ,,მგონია, რომ მთელს რუსეთში მარტო მე და შენ არა ვქურდობთ‘‘.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

დეკემბრის 21.

**პეტერბურგი.** ამბობენ, რომ 1885 წლიდამ ბანკებს და აქციონერთა საზოგადოებათ გადახდებათ სამი პროცენტი ნაღდის შემოსავლიდამ.

დეპარტამენტი გარდაუწყვეტელის გარდასახადისა აცხადებს, რომ მეშვიდე და მერვე მუხლი უმაღ. მანიფესტისა 15 მაისისა 1883 წლისა შეეხება დარღვევას წესდებისას სასმელებისა და თამბაქოს შესახებ; მაგრამ ნაპატივები არ იქნება ის ჯარიმა, რომელიც უნდა დამბეზღებელთ ერგოთ.

1885 წლიდამ აზრადა აქვთ გაადიდონ ტამოჟნის ბაჟი შემდეგთ სამზღვარ გარეთიდამ შემოტანილს საგნებზედ; მარილიან ,,სელიოდკაზე'', შავსა და აგურის ფერს ჩაიზე, უბრალო ღვინოებზე ბოჩკებში, შეშხუნა ღვინოებზე ბოთლებში, შეღებილსა და შეუღებავს აბრეშუმზედ და სხვა-დასხვა ზეთეულობაზედ.

უმართებულესი სენატი განამარტებს, რომ ღერბის გადასახადი აქციებზე, ობლიგაციებზე და გირავნობის ფურცლებზედ, როგორც გამოცემის დროს, ისე დაცვლისა და კუპონების ფურცლების განახლების დროს უნდა გადახდეს ამ ქაღალდების გამომცემელ საზოგადოებათ და არა მათ პატრონებს.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

ადგილის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. $2^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა — — —1 გ. 7 კ.

სუკი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა — — —1 გ. 7 კ.


## განცხადებანი

**გამგეობას ნიკოლსკის მანუფაქტურის ამხანაგობისა**

«საბა მოროზოვის შვილი და ამხ.»

აქვს პატივი შეატყობინოს ბბ-თ ვაჭრებს, რომ მათის სარგებლობისათვის 1885 წ. იანვრის 1-დამ, გაიხსნება საწყობი ერთობით გაყიდვისათვის, როგორც ბამბის ნაწარმოებისა, აგრეთვე ალისფერის საქონლისა სოკოლოვსკის მანუფაქტურისა, ასაფა ბარანოვისა და შალის საქონელი ბუტიკოვის მანუფაქტურისა.

საწყობი გახსნილია ბაქოში, ლალაევის სახლში, „ევროპის" სასტუმროს მახლობლად.

საქონლის ფასი იგივეა, რამდენიც საერთო საწყობებში ქ. მოსკოვში. (5—3)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | — — 1—80 |
| — — 1--60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, ტყავის ხელთათმანები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—56)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1885 ГОДЪ.

## „РАДУГА"

### ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ.

**Еженедѣльный иллюстрированный семейный журналъ литературы, изящныхъ искусствъ и общественной жизни.**

*50 нумеровъ въ годъ.*

Въ 1885 году ,,Радуга'' дастъ своимъ читателямъ рядъ романовъ, повѣстей, разсказовъ и стихотвореній исключительно изъ русской жизни, съ участіемъ выдающихся современныхъ русскихъ писателей.

ИЛЮСТРАЦІИ извѣстныхъ русскихъ художниковъ будутъ воспроизведены самымъ тщательнымъ образомъ, съ помощью новѣйшихъ открытій въ области графическихъ искусствъ. Гравюры будутъ исполнены въ лучшихъ русскихъ и иностранныхъ заведеніяхъ.

### БЕЗПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ ВЪ 1885 ГОДУ:

„Сцена" приложеніе, „Аккордъ" приложеніе, „Моды" приложеніе „Салонъ" приложеніе.

СЦЕНА ПРИЛОЖЕНІЕ: Театральное искуство. Критика. Драматическія пьесы для большой сцены и для любительскихъ спектаклей. Трагедіи. Драмы. Водевили—при участіи извѣстныхъ драматурговъ, какъ Викторъ Александровъ (Крыловъ) Невѣжинъ, князь Сумбатовъ и др. Провинціальная корреспонденція.

АККОРДЪ ПРИЛОЖЕНІЕ: Новости изъ музыкальнаго міра. Портреты выдающихся современныхъ композиторовъ и исполнителей. Отчеты о концертахъ. Критическія замѣтки. Къ каждому нумеру „Аккорда" будутъ приложены также безплатно ноты для фортепіано и пѣнія: исключительно новыя пьесы, танцы, аранжировки изъ новыхъ оперъ и оперетокъ.

**Въ 1885 году въ журналѣ Сцена будутъ помѣщены Портреты русскихъ драматическихъ писателей и выдающихся артистовъ русской столичной и провинціальной сцены.**

МОДЫ ПРИЛОЖЕНІЕ: Иллюстрированныя парижскія моды. Текстъ и рисунки изъ Парижа, подъ редакціею Тіерри. Руководство для туалетнаго стола. Косметика. Домашній обиходъ. Домашнее хозяйство. Столъ.

Въ 1885 году будетъ открытъ новый отдѣлъ ГИГІЕНА Какъ жить здоровому и какъ помочь больному человѣку. Совѣты врача. При этомъ отдѣлѣ открытъ почтовой ящикъ для совѣтовъ. Пользоваться правомъ этого почтоваго ящика могутъ лишь гг. подписчики.

Въ 1885 году мы дадимъ Новое Безплатное Приложеніе, въ которое войдутъ:

САЛОНЪ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЯ ОБЩЕСТВЕННЫЯ УВЕСЕЛЕНІЯ: 1) Карты. 2) Общественныя игры. 3) Пасьянсы. 4) Хореграфія (танцы). 5) Шарады. 6) Ребусы. 7) Задачи. 8) Фокусы. 9) Эксперименты изъ области химіи и физики. 10) Гимнастика. 11) Спиритизмъ. 12) Обширный шахматный отдѣлъ. 13) Стенографическій отдѣлъ. 14) Почтовый ящикъ для гласной корреспонденціи подписчиковъ между собою (право пользованія имѣютъ только подписчики журнала.)

### ВЕЛИКОЛѢПНАЯ БЕЗПЛАТНАЯ ПРЕМІЯ.

**По своему богатому содержанію, обнимающему всѣ явленія общественной жизни, „Радуга" займетъ въ 1885 году безпорно первое мѣсто среди иллюстрированныхъ еженедѣльныхъ журналовъ.**

Редакція „РАДУГИ" не жалѣетъ ни расходовъ, ни трудовъ, чтобы сдѣлать изъ своего журнала органъ русской семьи, и только быстро пріобрѣтенная популярность и значительное число подписчиковъ даютъ ей возможность, несмотря на низкую подписную цѣну, настолько увеличить программу журнала.

*Въ 1885 году ,,Радуга'' будетъ выходить аккуратно по четвергамъ*

**Подписная цѣна на 1885 годъ**

со всѣми приложеніями, съ пересылкою во всѣ города Россійской Имперіи только 5 руб. за границу—7 руб. на ½ года—3 руб., за границу—4 руб.

Допускается разсрочка платежа годовой подписной цѣны: при подпискѣ 2 р. затѣмъ 1 марта 1 р., 1 апрѣля 1 р. 1 іюля 1 р.

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ. Гг. иногородныхъ просятъ адресовать: Въ редакцію журнала «Радуга», Москва.

Редакторъ *Д. А. Мансфельдъ.*
Издатель *Л. Метиль.*

(5—2)

## ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი — მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—84)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის აოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.